საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№2503 2019 წლის 4 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან გათავისუფლების შესახებ

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-16 მუხლის შესაბამისად, ფორსმაჟორული სიტუაციით გამოწვეული გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გათავისუფლდეს „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ 30 – კმ 55 მონაკვეთზე სახიდე გადასასვლელების რეაბილიტაციის/მშენებლობის“ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**